კონკურსი საია-ს თბილისის ოფისის იურიდიული დახმარების ცენტრში ანაზღაურების გარეშე თანაშემწეთა-სტაჟიორთა მისაღებად

სამუშაო ადგილი: თბილისი

სამუშაო დატვირთვა: არასრული

განაცხადის წარმოდგენის ბოლო ვადა: 2017 წლის 16 ივნისი, 18:00 საათი.

იურიდიულ დახმარების ცენტრში თანაშემწედ/სტაჟიორად ყოფნა გულისხმობს როგორც წესი, 8 თვიანი კურსის გავლას, რომლის წარმატებით დასრულების შემთხვევაში მონაწილეები მიიღებენ შესაბამის სერთიფიკატს.

კონკურსი მიმდინარეობს როგორც სისხლის სამართლის, ასევე სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით. კონკურსის შედეგად სისხლის სამართლის მიმართულებით შეირჩევა არაუმეტეს 8, ხოლო სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით - არაუმეტეს 22 პირი, რომლებიც საქმიანობას დაიწყებენ 2017 წლის 4 სექტემბრიდან.

კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ იურიდიული ფაკულტეტის/საერთაშორისო სამართლის ბაკალავრიატის მე-3 კურსის ზემოთ ან კურსდამთავრებულებს. გაითვალისწინეთ, რომ ის პირები, რომლებიც მესამე კურსზე სწავლას 2017 წლის სექტემბრიდან იწყებენ, კონკურსში არ დაიშვებიან.

თანაშემწეების/სტაჟიორების ფუნქციებში ძირითადად შედის:

- იურიდიულ დახმარების ცენტრში მოქალაქეებისაგან შემოსული კითხვა-პასუხების ელექტრონულ პროგრამაში ასახვა;

- სარჩელების, განცხადებებისა და სხვა სამართლებრივი დოკუმენტაციის მომზადებაში დახმარება;

- საკანონმდებლო სიახლეებზე მუშაობა;

- ბუკლეტებისა და ლიფლეტების შედგენისას იურისტების დახმარება.

კონკურსის შედეგად შერჩეულ პირებთან გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება თანაშემწეთა/სტაჟიორთა უფლება-მოვალეობები.

კონკურსის ეტაპები

კონკურსი მიმდინარეობს ორ ეტაპად:

კონკურსის პირველი ეტაპზე (წერითი გამოცდა) - დაშვებული იქნება ყველა კანდიდატი, რომელიც სრულყოფილად გამოაგზავნის შესაბამის დოკუმენტებს. წერით გამოცდაზე კონკურსში მონაწილეებს დაევალებათ კაზუსების ამოხსნა სამოქალაქო/ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლიდან, განაცხადში მათ მიერ მითითებული სფეროს მიხედვით.

კონკურსის მეორე ეტაპზე (გასაუბრება) - დაშვებული იქნებიან ის კანდიდატები, რომლებიც წარმატებით გადალახავენ პირველ ეტაპს.

განაცხადების მიღება

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა ელექტრონულ მეილზე - trainee@gyla.ge უნდა გამოაგზავნოს:

- განაცხადი (იხ. **დოკუმენტი);**

- იურისტის დიპლომი ან შესაბამის კურსზე სწავლების დამადასტურებელი დოკუმენტი (დასკანერებული).

გთხოვთ, მეილის ”subjec" ველში მიუთითოთ თქვენთვის სასურველი სამართლის სფერო (,,სისხლის სამართალი“ ან ,,სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალი“).

საბუთების მიღების ბოლო ვადაა 2017 წლის 16 ივნისი, 18:00 საათი. დაგვიანებით ან არასრულყოფილად წარმოდგენილი განაცხადები არ იქნება განხილული.

დამატებითი ინფორმაციისათვის საკონტაქტო პირი - ნონა ქურდოვანიძე.

მისამართი: თბილისი, ჯანსუღ კახიძის ქ. #15

ტელ: 2-99 50 76; 2-93 61 01(145)